# ჟურნალის რედაქცია ღრმა მწუხარებას გაოთქვამს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ჟურნალ „სოციალური ეკონომიკა. XXI საუკუნის აქტუალური პრობლემების“ რედკოლეგიის წევრის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის ქალბატონი როზეტა ასათიანის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.



**ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებას გამოაკლდა კიდევ ერთი ღირსეული და ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი.**

**როზეტა ასათიანი**

**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1993), პროფესორი (1994), საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1996), ეკონომიკური თეორიის განყოფილების ხელმძღვანელი (1998-2012), აკადემიკოს-მდივანი (2012-დღემდე), ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1999), რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს განყოფილების ნამდვილი წევრი (2007).**

1962 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ეკონომიკის ფაკულტეტი, 1962-1971 წლებში მუშაობდა თბილისის კოოპერაციულ ტექნიკუმში პოლიტიკური ეკონომიის მასწავლებლად, 1972-2006 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრაზე ჯერ ასისტენტის, შემდეგ დოცენტისა და 1993 წლიდან პროფესორის თანამდებობაზე. 2007 წლიდან დღემდე არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჯერ ეკონომიკისა და ბიზნესის, ამჟამად, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სრული პროფესორი. 2010 არის თსუ-ის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი, 2013 წლიდან – თსუ-ის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი.

ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებული აქვს 190-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის: მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები (მათ შორის სასკოლო სახელმძღვანელოები), დამხმარე სახელმძღვანელოები, ბროშურები, ეკონომიკის განმარტებითი ლექსიკონები, თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია. მრავალი სტატიის ავტორია ქართულ ენციკლოპედიაში, თანაავტორი და მთავარი რედაქტორი პირველი ქართული სახელმძღვანელოსი ეკონომიკურ თეორიაში (1998). 43 ნაშრომის მეცნიერ-რედაქტორია. 1993 წელს ჩამოა ყალიბა სტატისტიკური სამსახური „ბარომეტრის“ სახელწოდებით, გამოსცა სტატის-

ტიკური კრებულები სერიით – საქართველო და გარე სამყარო, სახელდობრ: „მოსახლეობა ციფრებში“ (1995), „მსოფლიო ციფრებში“ (2000) 18.04.2017 წლის მდგომარეობით, საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში ციტირების რაოდენობა 11-ია, ჰირშის ინდექსი (ჰ-ინდეხ) - 2, ეგჰის ინდექსი (გ-ინდეხ) – 3.

**სხვა საქმიანობა**: გამომცემლობა „სიახლის“ პრეზიდენტი (1993 წლიდან დღემდე); თსუ-ის ეკონომიკის დარგის სადისერტაციო საბჭოს წევრი (1995-2006); საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებულის სარედაქციო კოლეგიის წევრი (2000-2014); ჟურნალ „ეკონომიკის“ (თსუ შრომები) სარედაქციო კოლეგიის წევრი (2003-2006); ჟურნალ „სოციალური ეკონომიკის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი (2001-2005, 2010-დღემდე); ჟურნალ „ეკონომისტის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი (2009-დღემდე); ჟურნალ „ახალი ეკონომისტის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი (2010-დღემდე); ჟურნალ „მოამბის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი (2014-დღემდე). საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი (1996); საზოგადოება „თბილისელის“ წევრი (1999).

**ჯილდოები:** ოქროს მედალი წარჩინებული სწავლისათვის (1957); საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოების სამეცნიერო პრემია (1988); თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო სამეცნიერო პრემია (1994); ღირსების ორდენი (1999); საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო პრემია 2008 წლის საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომისათვის (2008); დიპლომი საუკეთესო სამეცნიერო ჟურნალისტური პუბლიკაციისათვის ეკონომიკაში – ლობალიზატიონ ანდ ცონომიც თჰეორყ (2009); პაატა გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია და ლაურეატის დიპლომი ნაშრომისათვის – „თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი (2013); საქართველოს საპატრიარქოს საპატიო სიგელი საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის (2014); ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე დიდი დამსახურებისათვის, ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის (2014); საპატიო დიპლომი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისთვის, სტუდენტი-ახალგაზრდობის აღზრდაში გაწეული დიდი ღვაწლისთვის (2014).

**კვლევის სფერო:** მაკროეკონომიკის თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ამოცანათა ფართო წრე. მისი ნაშრომები, რომლებიც ძირითადად ეძღვნება საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის ანალიზს, საბაზრო სისტემის ფუნქციონირების უცხოური გამოცდილების შესწავლასა და საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გზების ძიებას, მოიცავს ეკონომიკური თეორიის, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, პრივატიზაციის, საბაზრო ინფრასტრუქტურის, მომსახურების სფეროს ეკონომიკის, ფულისა და ფულადი ურთიერთობების, ფისკალური პოლიტიკის, სიღარიბის სოციალური ასპექტებისა და გლობალიზაციის ფრიად აქტუალურ პრობლემებს.

**ძირითადი ნაშრომები:** „მომსახურება და საბაზრო სისტემა“ (1993); „საქართველოს ეკონომიკა. ახალი ეპოქა“ (2009); „გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო“ (2010); „ზოგადი ეკონომიკური თეორია და მისი სწავლების აღდგენის აუცილებლობა (საკითხის დასმის წესით)“ (2013); „საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი“ (2014); „თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია“ (2014); „XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის კონცეპტუალური ანალიზი და საქართველოს ეკონომიკური პორტრეტი“ (2015).

როზეტა ასათიანი პირველი და ერთადერთი ქართველი მკვლევარი ქალია, რომელმაც დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ეკონომიკურ თეორიაში (ეკონომიქსში). მისი ბიოგრაფია, როგორც მეცნიერ-ეკონომისტისა და გამომცემლობა „სიახლის“ პრეზიდენტისა, შეტანილია ქართულ ენციკლოპედიურ გამოცემაში. იხ.: „თბილისი“. ენციკლოპედია. თბილისი, 2002.

შესანიშნავი მეცნიერისა და პედაგოგის, საუკეთესო მოქალაქის, ჭეშმარიტი ინტელიგენტის როზეტა ასათიანის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი ოჯახის, მეგობრების, კოლეგების, მოწაფეებისა და ახლობლების გულში.